KA030192496589019

№ 01-1525 **15 / თებერვალი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 20-22 თებერვალს, იტალიაში ქ. ტურინში ევროკავშირის დაძმობილების პროექტის GE/22 ორგანიზებით ტარდება სასწავლო ვიზიტი თემაზე: „გარემოს ჯანმრთელობის სისტემის ინსტიტუციური გაძლიერება საქართველოში“.

შეხვედრაში მონაწილეობის მიზნით მიწვეულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მარინა დარახველიძე.

მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური ნორმა) ანაზღაურდება მიმწვევი მხარის მიერ.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი მარინა დარახველიძისათვის მიმდინარე წლის 20 თებერვლიდან 23 თებერვლის ჩათვლით.

პატივისცემით,

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სოფიკო ბელქანია